საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2319-03
08/12/2022

,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე: „ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა“, „ციფრული ჰუმანიტარია“, „ისტორია“, „არქეოლოგია“, „კულტურის კვლევები“, „პოლიტიკის მეცნიერება“, „ფილოსოფია“, „სოციოლოგია“, „ფსიქოლოგია“, და „სოციალური მუშაობა“ 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის მიღების გამოცხადების, რეგისტრაციის ვადებისა და პროცედურის შესახებ“ რექტორის N 2184-03, 08/11/2022 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63–ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების საფუძველზე, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის 2022 წლის 7 დეკემბრის N19276-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებზე: „ენათმეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა“, „ციფრული ჰუმანიტარია“, „ისტორია“, „არქეოლოგია“, „კულტურის კვლევები“, „პოლიტიკის მეცნიერება“, „ფილოსოფია“, „სოციოლოგია“, „ფსიქოლოგია“, და „სოციალური მუშაობა“ 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის მიღების გამოცხადების, რეგისტრაციის ვადებისა და პროცედურის შესახებ“ რექტორის N 2184-03, 08/11/2022 ბრძანებაში, კერძოდ:

ა) ბრძანების მეექვსე პუნქტში ნაცვლად ფრაზისა „საპრეტენზიო განაცხადი ინგლისური და გერმანული ენების ზეპირი გამოცდის შედეგის შესახებ“ ჩაიწეროს „საპრეტენზიო განაცხადი ინგლისური და გერმანული ენების წერილობითი გამოცდის შედეგის შესახებ.“

ბ) ბრძანების მეშვიდე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„7. ინგლისური და გერმანული ენების წერილობითი გამოცდის შედეგების აპელაციის მიზნით ინგლისური და გერმანული ენის გამოცდის საპრეტენზიო კომისიასთან შეხვედრა ჩატარდება 2022 წლის 13-14 დეკემბერს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო ინფორმაცია შეხვედრის დროისა და აუდიტორიის შესახებ 2022 წლის 12 დეკემბერს გამოქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე რუბრიკაში „სწავლა/დოქტორანტურა/მიღება დოქტორანტურაში“.

2. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს, ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

3. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, რექტორის აპარატს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და იურიდიულ სამსახურს

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი